SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

აგრარული
უნივერსიტეტი

ვეტერინარული მედიცინის სკოლა
ვეტერინარის მომზადების პროგრამა

პროგრამის სახელწოდება
ვეტერინარის მომზადების პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
არ ენიჭება (კანონმდებლობისა და დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით)

სწავლების მოცულობა კრედიტებით
60 კრედიტი

სწავლების ენა
ქართული

პროგრამის მიზანი
ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლოს:

- ცხოველების ბიოლოგიური თავისებურებების შესახებ ცოდნის გამოყენება პაციენტის გამოკვლევის, მისი სტატუსის შეფასების, დიაგნოზის დასმის და სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების, ნაყოფიერების და პროდუქტიულობის გაზრდის პროცესში;
- პრაქტიკული პროცედურების შესრულება და მათი გამოყენების საჭიროების განსაზღვრა სხვადასხვა კლინიკურ შემთხვევაში;
- დაავადების გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ ცოდნის გამოყენება პათოლოგიების დიაგნოსტიკაში, მათ პროფილაქტიკასა და მკურნალობაში;

- მედიკამენტების მოქმედების მექანიზმის, ჩვენებების, უკუჩვენებების და გვერდითი ეფექტების შესახებ ცოდნის გამოყენება სხვადასხვა დაავადებების მკურნალობაში;
- პროფილაქტიკური საშუალებების მოქმედების მექანიზმის, ჩვენებების, უკუჩვენებების და გვერდითი ეფექტების შესახებ ცოდნის გამოყენება სხვადასხვა დაავადებების პროფილაქტიკაში;
- ცხოველების ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და პროდუქტიულობის გასაზრდელად ცხოველების სწორ მოვლა-შენახვაზე, დაბალანსებული კვების და სან-ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ ცოდნის გამოყენება;
- სავეტერინარო კანონმდებლობის და პროფესიული ეთიკის გამოყენება კლინიკურ და სამეცნიერო პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად;
- ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შემოწმების მეთოდების გამოყენება და შემოწმების შედეგების შეფასების უნარები კვების ბაზარზე უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის გასაშვებად;
- სამეცნიერო კვლევის მეთოდების, მეთოდოლოგიის, მიდგომების, ანალიტიკური აზროვნების გამოყენება;
- კლინიკური აზროვნება, პროფესიული მსჯელობა და პრობლემის არგუმენტირებული გადაჭრა;
- ვეტერინარიის სფეროში სწავლის მუდმივი და უწყვეტი გაგრძელების აუცილებლობის გაცნობიერება და განსაზღვრა;
- ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ღონისძიებების განმახორციელებელი ინსტიტუციური სისტემის მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებში გარკვევა და მათი გამოყენება.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა თეორიული და პრაქტიკული სწავლების სწორ დაგეგმვას და განხორციელებას.

აღნიშნული გულისხმობს საგნის თეორიული შესწავლის პარალელურად მის პრაქტიკაში რეალიზებას. სტუდენტები ჩაებმებიან ინტერაქტიულ სწავლებაში და საკუთარ ცოდნას გამოიყენებენ სხვადასხვა პრაქტიკული დავალების შესასრულებლად. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული (კლინიკური, საწარმოო და კვლევითი) უნარ-ჩვევების გამომუშავებას და მათ მიერ პროგრამით გათვალისწინებული საგნების სიღრმისეულად შესწავლას, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

გარდა ამისა, პროგრამა კურსდამთავრებულებს მისცემს საკმარის ბაზას დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად და შესაძლო სამეცნიერო კარიერის განსავითარებლად.

დასაქმების სფეროები

ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ ფართო დასაქმების პერსპექტივები. ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს უფლება აქვს იმუშაოს შემდეგ სახელმწიფო და კერძო სავეტერინარო დაწესებულებებში:

- სავეტერინარო კლინიკები და ლაბორატორიები: ცხოველთა დაავადებების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა (ამბულატორიული და სტაციონარული);
- მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები, მეფუტკრეობის და მეთევზეობის მეურნეობები: დაავადებების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- ფარმაცევტული საწარმოები, სავეტერინარო აფთიაქები: პრეპარატების წარმოება, გამოცდა და კონტროლი, შენახვა-გაცემა და ა.შ.;
- ზოომაღაზიები, ზოოპარკები, ვივარიუმები, აკვარიუმები, ტერარიუმები, იპოდრომები, ცხოველთა თავშესაფრები: მომხმარებლების კონსულტაცია, ცხოველთა ზედამხედველობა, ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია;
- კოსმეტიკური კაბინეტები: ცხოველთა მოვლა და კოსმეტიკური ჩარევები;
- სასაკლაოები: დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი შემოწმება;
- წარმოება: ხორცისა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები, თევზისა და თევზპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები, და სხვა;
- დაცული ტერიტორიები: ცხოველთა სახეობების მონიტორინგი, ეპიდემიური/ეპიზოოტიური სიტუაციების მონიტორინგი და პრევენცია;
- შესაბამისი სახელმწიფო უწყებები: ქვეყნის შიგნით და საზღვარზე ვეტერინარული კონტროლის მექანიზმების შემუშავება და განხორციელება ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით;
- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები: კვლევითი საქმიანობა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები: სასწავლო საქმიანობა;
- სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, ცენტრები და ინსტიტუტები: ექსპერიმენტული მედიცინის სხვადასხვა მიმართულებაზე მუშაობა;
- მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები, მეფუტკრეობის და მეთევზეობის მეურნეობები, კინოლოგიური სამსახურები: ცხოველთა მოშენება, აღწარმოება, კვება, ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ა.შ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს ვეტერინარიის დარგის/სპეციალობის მითითებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- კონსულტაციას უწევს პაციენტს, პაციენტის პატრონსა და კოლეგებს, ეფექტიანად ურთიერთობს მათთან;
- ატარებს პრაქტიკულ პროცედურებს/ მანიპულაციებს;
- სვამს დაავადების დიაგნოზს;
- შეუძლია გადაუდებელი სავეტერინარო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევა;
- შეიმუშავებს დაავადების მკურნალობის დასაბუთებულ გეგმას;
- ნიშნავს შესაბამის სამკურნალო პრეპარატებს, წერს დანიშნულებას;
- იყენებს სავეტერინარო კანონმდებლობას, ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებს პრობლემების გადასაჭრელად;
- შეიმუშავებს დაავადების პროფილაქტიკური ღონისძიებების დასაბუთებულ გეგმას;
- განსაზღვრავს ცხოველური წარმოშობის პროდუქტების უვნებლობას;
- ადგენს ცხოველთა დაბალანსებული კვების ულუფას;
- შეუძლია ცხოველთა უნაყოფობის დადგენა, განაყოფიერების ორგანიზება, პროდუქტიულობის გაუმჯობესება.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება

სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, ანალიზი.

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები, ესენია: საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, ანგარიშები, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასება:
(FX) ვერ ჩაბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული სასწავლო გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარითა და ყველა სხვა რესურსით.